# ახალი ხარაგაული

№438 (12) 22 სექტემბერი, 2021 წ.


## ხარაგაულის მერიასა და რეგიონალური ინიციატივების ცენტრს შორის მემორანდუმი გაფორმდა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ რეგიონული ინიციატივების ცენტრ ,,ნათელ მომავალს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით დევდარიანმა მოაწერა.

„ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის" ფინანსური მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის სისტემის შემუშავება," რომლის ფარგლებში, IRC-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიისა და ინდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეების ჩართულობა შეფასდება.

აქვე გეტყვით, რომ პროგრამის მთავარი მიზანია მონაწილეობითი ბიუჯეტირების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შეფასება, პოტენციური მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება.

აღსანიშნავია, რომ პროექტში იმერეთის რეგიონიდან ექვსი მუნიციპალიტეტია ჩართული და, მათ შორის, ხარაგაულიცაა.

## მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა დადებითად შეფასდა



საკრებულოს სხდომაზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა დეპუტატებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა, რომელიც 2020-2021 წ.წ. პერიოდს მოიცავდა.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საფინანსო სამსახურის მუშაობა ბოლო თვეებში გაცილებით შედეგიანი იყო, რაც ბიუჯეტის შესრულებასა და მის პარამეტრებშიც გამოჩნდა.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018,9 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების თანახმად, შემოსულობები გაიზარდა 9 701,1 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დაგეგმილი 9 090,1 ათასი ლარი გაიზარდა 12 513,5 ათასი ლარით და განისაზღვრა 21 603,6 ათასი ლარით.

საკრებულოს სხდომას მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში მეტი შესაძლებლობებია და შედეგები სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად უნდა გაიზარდოს.

„ადგილობრივი შემოსავლების გეგმა 110%-ით არის შესრულებული, რაც წინა პერიოდთან შედარებით გაზრდილია. მერია, უფლებამოსილების ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს, რათა მოხდეს საბიუჯეტო სახსრების დროულად და ეფექტურად ათვისება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას, საკრებულოს მიერ გაცემული საბიუჯეტო შენიშვნები თითქმის ყველა გავითვალისწინეთ, ხოლო ის, რისი გათვალისწინებაც ვერ მოხდა, ობიექტური მიზეზებით დასაბუთდა. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, პანდემიის პერიოდში წარმატებით გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და არ შეიძლება, ეს არ აღინიშნოს.

წინ გადადგმული ნაბიჯია ისიც, რომ მოსახლეობასთან წელს პირველად ჩავატარეთ გამოკითხვა, რა საკითხებია მათთვის პრიორიტეტული და რა უნდა გავითვალისწინოთ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. შესაბამისად, ხალხის მოთხოვნებს აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას და მომავალი წლის ბიუჯეტში განვსაზღვრავთ თანხებს.

მისასალმებელია, რომ გაიზარდა სოციალური და ინფრასტრუქტურული ხარჯი და ეს საკითხები საკრებულოს სხდომებზე გვქონდა წარმოდგენილი და განხილული."-განმარტა მერის პირველმა მოადგილემ.

ვარლამ ჭიპაშვილმა აუდიტის რეკომენდაციების შესახებაც ისაუბრა. მისივე თქმით, რეკომენდაციები, ძირითადად, საწვავისა და წარმომადგენლობით ხარჯს უკავშირდებოდა. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, საკრებულოს აქტიური დახმარებით, ამ მიმართულებით იმუშავა და ყველა შენიშვნა გაითვალისწინა.

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

მარიამ შარიქაძე

## ხარაგაულის მერობისათვის ხუთი კანდიდატი იბრძოლებს

2 ოქტომბერს ხარაგაულის მოსახლეობა ახალ მერს აირჩევს. ვინ არიან მერობის კანდიდატები და რა გამოცდილებით მოვიდნენ დღემდე, გთავაზობთ თითოეული კანდიდატის შესახებ ინფორმაციას.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ხარაგაულის მერობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი იქნება (საარჩევნო სუბიექტის



რიგითი ნომერი - 41);

კობა ლურსმანაშვილმა ბავშვობა სოფელ თეთრაწყაროში გაატარა. საშუალო განათლება დაბის N1 საშუალო სკოლაში მიიღო. სკოლის დასრულების შემდეგ, 1988-1990 წ.წ. წარჩინებით დაასრულა თბილისის სამრეწველო- ეკონომიკური ტექნიკუმი.

1991-1995 წ.წ. სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით, რომლის დასრულების შემდეგ მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სხვადასხვა დროს იყო: სოფელ თეთრაწყაროს კოლმეურნეობის წევრი;

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგას" - იურისტი;

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტში-უფროსი სპეციალისტი;

საქართველოს პარლამენტის აპარატში-საპარლამენტო ფრაქციის წამყვანი სპეციალისტი;

1998-2002წ.წ. - ხარაგაულის საკრებულოს წევრი, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;

2002-2003წ.წ. - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კიცხის თემის საკრებულოს წევრი, კიცხის გამგებელი, ხარაგაულის ასოცირებული საკრებულოს წევრი;

2003-2004 წ.წ. - ფინანსთა სამინისტროს ხარაგაულის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მ/შ;

2004-2009 წ.წ. ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას.

2009-2013 წ.წ. იყო ადვოკატი;

2013 წლიდან დღემდე არის პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი, ხარაგაულის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრი;

2013 წელს, კონკურსის წესით, დაიკავა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა;

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არჩეულ იქნა ხარაგაულის გამგებლად;

2016 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად N51 ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარული ოლქიდან.

2016-2017წ.წ. მიწვეულ იქნა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში და წაიკითხა სალექციო კურსი საჯარო მმართველობის სფეროში.

2018 წელს არჩეულ იქნა დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორად;

2019 წელს აირჩიეს ტაოკლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

2020 წლის ოქტომბრიდან დღემდე არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, კერძოდ:

ევროსაბჭოს მიერ გამართულ კონფერენციაზე -„ადგილობრივი დემოკრატია თანამედროვე საზოგადოებაში";

საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული NDI ინსტიტუტის სემინარში თემაზე -„საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა";

საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე - „მართლმსაჯულების ფუნქციონირება";

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სემინარში- „ადვოკატთა პროფესიული ეთიკა";

ამერიკის იურისტთა ასოციაცია - ,,კანონის უზენაესობის ინიციატივა", სემინარში - „სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის".

2015 წელს, როდესაც ხარაგაულის გამგებლის თანამდებობას იკავებდა, საქართველოს მთავრობამ დააჯილდოვა ადგილობრივ თვითმმართველობაში საუკეთესო პრაქტიკისათვის;

2015 წელს დაჯილდოვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით;

ჰყავს მეუღლე - თამარ ხუციშვილი -იურისტი.

შვილი - ანი ლურსმანაშვილი-იურისტი.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

## ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება

2 ოქტომბერს მოსახლეობა მუნიციპალიტეტის მერებსა და ახალ საკრებულოს აირჩევს. 2021 წლის მოწვევის ხარაგაულის საკრებულო 33 წევრისაგან იქნება დაკომპლექტებული, მათგან 11 მაჟორიტარული წესით იქნება არჩეული, 22 კი - პარტიული სიებით. მაჟორიტარებისთვის ბარიერია დაწესებული და საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 40%-ზე მეტს მიიღებს.

წარმოგიდგენთ ხარაგაულის ოლქების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს:

### დაბა

პარტია ,,მესამე ძალა" - გიორგი გელაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ბაქარ ბარბაქაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - თეიმურაზ ფცქიალაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო" - მაია შავიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

„გახარია-საქართველოსთვის" - ვახტანგ ჭანკვეტაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" - ბესიკ კვირიკაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

### კიცხი, ფარცხნალი

,,მესამე ძალა" - ბესარიონ ვეფხვაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ჯაბა ჩაჩანიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - ალექსანდრე გიორგაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო" - ვიტალი ორლოვი. (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

„გახარია -საქართველოსთვის" - ზურაბ გიორგიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" - კიაზო გამრეკელაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

### ვარძია, წყალაფორეთი, ხიდარი

,,მესამე ძალა" -ფრიდონ ვეფხვაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის"- ზურაბ ხიჯაკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 2);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - კობა გოგსაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - ლია ბერაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო" - საშიკო ხიჯაკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

„გახარია - საქართველოსთვის" -კონსტანტინე ბერაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო" -შმაგი ხიჯაკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

### ლაშე, სარგვეში, ღორეშა, ბაზალეთი

,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის" - აკაკი მაჭავარიანი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 2);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ნანა გორგაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - მერაბ კალანდაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

„გახარია-საქართველოსთვის" - კახა კამკამიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"- პავლე კიკალიშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

### ბორითი

,,მესამე ძალა" - ლატავრა ჩინჩალაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ქეთევან ზუმბაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - თამარ წიქარიშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო"- ნიკოლოზ ბირკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

,,ქართული ოცნება-დემოკრტიული საქართველო"- იამზე პაქსაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

### ხუნევი

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - თამაზ ლომიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - თემურ ბლიაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო" - ომარ გაგოშიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

გაგრძელება ▶ 2 გვ.

# ხარაგაულის მერობისათვის ხუთი კანდიდატი იბრძოლებს

დასაწყისი ▶ 1 გვ.

***



„გახარია - საქართველოსთვის“ ხარაგაულის მერობის კანდიდატი ვარლამ (ტატო) თავზარაშვილია (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25).

ბ-ნ ვარლამი (ტატო) პროფესიით ეკონომისტია, დამთავრებული აქვს საერთაშორისო ეკონომიკური უნივერსიტეტი.

1997-2001 წლებში იყო საქართველოს საფოსტო ბანკის ისან-სამგორის რაიონის განყოფილების უფროსი;

2002-2003 წ.წ. საქმიანობდა თბილისის საკრებულოში სოციალურ საკითხთა ექსპერტ-კონსულტანტად;

2004-2006 წ.წ. ხარაგაულის გამგებლის პირველი მოადგილის პოსტს იკავებდა;

2012-2014 წ.წ. გახლდათ პარტია ,,ქართული ოცნების“ აქტივის ხელმძღვანელი;

2014-2017 წ.წ. - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში- ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

2019-2020 წ.წ. - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2021 წლის იანვრიდან იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი ტურიზმისა და სპორტის საკითხებში. აღნიშნული თანამდებობა დატოვა იმავე წლის აგვისტოს ბოლოს.

ამჟამად აქტიურადაა ჩართული საარჩევნო კამპანიაში, პარტია ,,გახარია -საქართველოსთვის“.

ჰყავს მეუღლე - მაკა ქასრაშვილი - ექიმი.

შვილი - სალომე თავზარაშვილი.

***



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ხარაგაულის მერობისათვის დავით მალაფერიძე იბრძოლებს (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5).

ბ-ნ დავითმა ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლა დაასრულა, რის შემდეგადაც სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ადმინისტრაციულ ორგანოებში- პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში უფროს გამომძიებლად. 2010 წლიდან დააფუძნა კერძო საადვოკატო ბიურო, სადაც ამ დრომდე საქმიანობს.

2017 წლიდან არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ჰყავს მეუღლე - ნინო ღინტური.

შვილები - გიორგი, უტა და პაპუნა მალაფერიძეები.

***



„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ხარაგაულის მერობის კანდიდატი ლია ფცქიალაძეა (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8).

ლია ფცქიალაძემ დაბის N2 საშუალო სკოლა წარჩინებით დაასრულა, რის შემდეგაც 1977-83 წ.წ. მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მუშად. ამასთანვე გახლდათ დაბის და რაიონული საბჭოს დეპუტატი.

1983-1990 წ.წ. - სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა ექიმ-ეპიდემიოლოგის ზოგადი სპეციალობით.

1996-2007 წ.წ. - მუშაობდა არაგაულის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე.

2007-2013 წ.წ. -მერიის მთავარ სპეციალისტად ჯანდაცვის საკითხებში.

2013-2014 წ.წ.-ჯანდაცვის განყოფილებისა და სამსახურის უფროსად.

2014 წლიდან არის სოციალური სამსახურის უფროსი სპეციალისტი ჯანდაცვის საკითხებში.

***



პარტია „ლელოს“ მერობის კანდიდატი ხარაგაულში მიხეილ ჭიპაშვილია (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9).

მიხეილ ჭიპაშვილი დაიბადა 1985 წლის 23 სექტემბერს, დაბა ხარაგაულში, პედაგოგების ოჯახში.

2002 წელს დაამთავრა დაბის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია.

2006 წელს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტი, ეკონომისტის სპეციალობით.

2006 წლიდან აქტიურად არის ჩართული პოლიტიკაში.

2012-13 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში.

2013-2014 წლებში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ.

2014-2015 წლებში იყო ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორი.

2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში არჩეულ იქნა ხარაგაულის საკრებულოში ფარცხნალის თემის მაჟორიტარ დეპუტატად „შენების მოძრაობიდან“.

პარალელურად ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

2019 წლის დეკემბრის თვიდან არის პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ დამფუძნებელი და წევრი.

ჰყავს მეუღლე - ინგა მაღრაძე - იურისტი, ამჟამად არის ხარაგაულის საკრებულოს წევრი.

შვილი - ნუგზარ ჭიპაშვილი.

მარიამ შარიქაძე

# ,,მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“ ხარაგაულში 20 ათასი დოლარის ღირებულების სათემო პროექტს განახორციელებს

პროექტის ფარგლებში ,,მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება“ ,,მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“ ხარაგაულში სათემო პროექტის განხორციელების მიზნით, 20 ათასი დოლარის ღირებულების გრანტს შემოიტანს.

სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა ხარაგაულის მერიაში, რომელსაც მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით დევდარიანი და პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი დაესწრნენ. ,,მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წარმომადგენელმა პაატა შარაშენიძემ ვრცლად ისაუბრა პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე. მისივე განმარტებით, ყოველივე ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას დაბრუნებული მიგრანტების მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველყოფისა და ადგილობრივი თემების გაძლიერების მიმართულებით.

მერის პირველმა მოადგილემ ვარლამ ჭიპაშვილმა პროექტის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.



„ჩვენ მივესალმებით ასეთ ინიციატივებსა და წინადადებებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. მნიშვნელოვანია მიგრანტების დაბრუნება და მათი სოფლად დამაგრება. მერია მოახდენს პროექტების თანადაფინანსებას ტექნიკური, ადამიანური თუ ფინანსური რესურსით და, საერთო ჯამში, უზრუნველვყოფთ, რომ პროგრამა მოსახლეობის ინტერესზე იყოს მორგებული და საბოლოოდ ის შედეგი მივიღოთ, რასაც მიზნად დავისახავთ."

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტი დაფინანსებულია მიგრაციის განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

# ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება

დასაწყისი ▶ 1 გვ.

„გახარია-საქართველოსთვის“ - გივი მაისურაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- ლენა აბაშიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

ნადაბური, ხევი

,,მესამე ძალა“ - ლილი გელაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“- ვეფხვია გრიგალაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 2);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ბადრი ხაჩიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ამირან გოგოლაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო“ - ჯონი ცისკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - დოდო ხაჩიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

ზვარე, წიფა

,,მესამე ძალა“ - გიორგი ლაცაბიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - თეიმურაზ მაღლაკელიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ვალერი ფანქველაშვილი. (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - ვახტანგ ტალახაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

ვახანი, ლეღვანი

,,მესამე ძალა“- ბესიკ ლაცაბიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“- ზურაბ ხიჯაკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 2);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ზვიად არევაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - გიორგი შარიქაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო“ - ინგა მაღრაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

„გახარია-საქართველოსთვის“ - ამირან მაღრაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“- ვერა ოდიკაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

მოლითი

,,მესამე ძალა“ - შავლეგ ჭყოიძე. (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ზოია ტალახაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - იოსებ კიკნაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო“ - ქეთევან ლაცაბიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

„გახარია-საქართველოსთვის“ - ვახტანგ ლაცაბიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - მერაბ ტალახაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

საღანძილე

,,მესამე ძალა“ - ალექსანდრე მეტრეველი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1);

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ლილი ბაბლუანი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5);

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - საბა ბლუაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8);

,,ლელო“ - ხვიჩა გურგენიძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9);

„გახარია-საქართველოსთვის“ - თეა გობიანი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25);

,,თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)“ - მალხაზ ყრუაშვილი (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 37);

,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - დავით კიკნაძე (საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41).

პარტიული სიის ათეულები:

,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 41

1.მანანა ბარბაქაძე
2.გოჩა გიორგიძე
3.ავთანდილ კვინიკაძე
4.მარინე ხვედელიძე
5.ოთარ ლურსმანაშვილი
6.პაატა გოგოლაძე
7.ნონა ზურაბიანი
8.შალვა ლურსმანაშვილი
9.ამირან ოქრომჭედლიძე
10.ეკატერინე შველიძე
11.უშანგი ბერაძე
12.ავთანდილ ვეფხვაძე
13.ირმა ვაქერ-სებისკვერაძე
14.ზურაბ ხაჩიძე

პარტია ,,მესამე ძალა“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 1

1.გიორგი ლაცაბიძე
2.ბესარიონ ვეფხვაძე
3.შავლეგ ჭყოიძე
4.ლაშა გოგოლაძე
5.ლილი გელაშვილი
6.ალექსანდრე მეტრეველი
7.ფრიდონ ვეფხვაძე
8.ლატავრა ჩინჩალაძე
9.გიორგი გელაშვილი
10.ბესიკ ლაცაბიძე

,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 2

1.აკაკი მაჭავარიანი
2.ვეფხვია გრიგალაშვილი
3.ირინე ორბელაძე
4.რაიბულ ლომსაძე
5.გიორგი ბუაჩიძე
6.დოდო პაპიძე
7.ბადრი ჩაჩანიძე
8.გივი მაჭავარიანი
9.ციური სებისკვერაძე
10.ბესიკ ყრუაშვილი

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 5

1.თორნიკე ავალიშვილი
2.კობა გოგსაძე
3.ქეთევან ზუმბაძე
4.ბაქარ ბარბაქაძე
5.თამაზ ლომიძე
6.ირმა ალხაზიშვილი
7.ჯაბა ჯიმშიაშვილი
8.ნანა გორგაძე
9.დავით ლაცაბიძე
10.ბადრი ხაჩიძე

,,დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 8

1.თეიმურაზ ფცქიალაძე
2.თამარ წიქარიშვილი
3.საბა ბლუაშვილი
4.თემურ ბლიაძე
5.ბესიკ ხომასურიძე
6.მაია დევდარიანი
7.გიორგი შარიქაძე
8.ალექსანდრე გიორგაძე
9.ცისანა კიკნაძე
10.ვალერი ფანქველაშვილი

,,ლელო“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 9

1.ომარ გაგოშიძე
2.ინგა მაღრაძე
3.ვიტალი ორლოვი
4.საშიკო ხიჯაკაძე
5.მაია შავიძე
6.ნიკოლოზ ბირკაძე
7.ხვიჩა გურგენიძე
8.მაია ებანოიძე
9.დიმიტრი ჩიკვაიძე
10.აკაკი გოგოლაძე

,,შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 10

1.შალვა ხიჯაკაძე
2.ივანე ღონღაძე
3.ლალი ღონღაძე
4.ზვიად გიგაშვილი
5.მაყვალა გიორხელიძე
6.ქრისტინე მიქაძე
7.სიმონ იაკობიძე
8.ნონა მიქაძე
9.ემმა იაკობიძე
10. ზურაბ გიორგაძე

„გახარია - საქართველოსთვის“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 25

1.კონსტანტინე ბერაძე
2.ირმა ვეფხვაძე
3.ზურაბ გიორგიძე
4.ვახტანგ ჭანკვეტაძე
5.ქეთევან თავზარაშვილი
6.ბესიკ ავალიშვილი
7.დავით აბაშიძე
8.თეა გობიანი
9.ვახტანგ ლაცაბიძე
10.რევაზ ღამბაშიძე

,,თავისუფალი საქართველო“ (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა) - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი 37

1.მალხაზ ყრუაშვილი
2.ლია ყანადაშვილი
3.როინ ხიჯაკაძე
4.ბექა ყრუაშვილი
5.კახაბერ ყრუაშვილი
6.ელზა ყრუაშვილი
7.მანუჩარ სისვაძე
8.ტარიელ ბაბლუანი
9.რიტა კიკნაძე
10.ჯონი კვიციანი.

მარიამ შარიქაძე

# და იპოვე შენ მხვედრი შენი...

## (ხარაგაულელი გივი ლომიძე მღვდელმონაზონ ეფრემად ეკურთხა)

ძვირფასო მკითხველო!

კარგად იცით ბრძენკაცის ნათქვამი: „ბედნიერია, ვინც საკუთარი თავი სიჭაბუკეშივე იპოვა.“

ჩემთვის, ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, ძნელია, შევწვდე იმ სულიერ სიმაღლეებს, რომლებსაც უფლის გზაზე სვლით მიაღწია ჩემმა რესპონდენტმა. მაგრამ მისდამი უსაზღვრო სიყვარულით გაჯერებული ჩემი დამოკიდებულება და სურვილი ისეთია, რომ გასაქანს არ მაძლევს და ხელში კალამი ავიღე... მას, როგორც ამქვეყნიურ დიდებასთან და რაიმე ამბიციასთან შორს მყოფს, რასაკვირველია, არ იზიდავს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება სხვათაგან მისი პიროვნების ხოტბა - დიდებას, მაგრამ უფალი არ გვიწყენს, თუ რწმენითა და გამორჩეული ნებისყოფით იმ გზაზე მავალს წარმოვაჩენთ, რომლისთვისაც ღვთისა და ადამიანის უკიდეგანო სიყვარულია თანამდევი და განუშორებელი წუთისოფლის ოკრობოკრო გზებზე...

დიახ, მღვდელმონაზონ ეფრემზე (ლომიძე) მინდა, მოგითხროთ...

ბევრჯერ მქონია ინტერვიუ ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის აღზრდილ, პერსპექტიულ გზაზე მდგარ აწ უკვე ბერმონაზონ ეფრემთან (ერისკაცობაში გივი ლომიძე) და ყოველთვის ვრწმუნდებოდი, რომ ის მიზანმიმართულად, მტკიცე რწმენით, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობითა და ინტერესით მიემართებოდა ტაძრისაკენ დასახული სანუკვარი მიზნის აღსასრულებლად.

მამა ეფრემი მოსწავლეობის პერიოდიდანვე დაინტერესებული იყო საეკლესიო მსახურებითა და სპორტით. საგნების სწავლებისას დიდ ყურადღებას იჩენდა ძველი ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისადმი. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით გაუძლიერდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას, როცა მისი დეკანი და ლექტორი იყო ამჟამად ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის მღვდელმთავარი დოსითეოსი (ბოგვერაძე).

„2021 წლის 29 აგვისტო გამორჩეული თარიღია მამა ეფრემის სასულიერო ცხოვრების დიდ გზაზე - გვესაუბრება სურამის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის დეკანოზი დავითი (ლომიძე) - როცა შიო მღვიმის მამათა მონასტერში იეროდიაკონი ეფრემი (გივი ლომიძე) უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა - კურთხევით ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად. ხელდასხმა ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა დოსითეოსმა აღასრულა.

ეპარქიის კლიროსი და მრევლი მადლობას სწირავს უფალს, მონასტრის ძმობას და ყოველ სასულიერო პირს, სტუმრებს: ავსტრიიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, რომლებმაც ჩვენთან ერთად გაიზიარეს ეს დიდი სიხარული...

გვწამს, ბერმონაზონი ეფრემი (ლომიძე) დიდი სიყვარულითა და ჩვეული თავმდაბლობით ემსახურება უფალს, დედა ეკლესიასა და მრევლს.



*ფოტოზე: მეუფე დოსითეოსი და დეკანოზი დავითი*

მღვდელმონაზონი ეფრემი ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის ბრიუსელის საკათედრო ტაძარში იმსახურებს,“ - განმარტა დეკანოზმა დავითმა.

* * *

მღვდლად კურთხევის შემდეგ, შიო მღვიმის მონასტერში მამა ეფრემმა წარმოთქვა სიტყვა (აღნიშნული სიტყვა მან ავსტრიის მთებში არსებულ დედათა მონასტერში მოამზადა). გთავაზობთ საკმაოდ ვრცელი სიტყვის შემოკლებულ ვარიანტს: „დილით, ლოცვის შემდეგ, სრულიად დაუგეგმავად მოვიდა ჩემში წმ. იოანე ნათლისმცემლის სიტყვები, რაც მან იესო ქრისტეს შესახებ წარმოთქვა: „მისი ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა - მოკლებად (იოანე III, 30)“. ამ სიტყვების შინაარსმა განსაზღვრა, შემედგინა არა მარტო ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვა მღვდლად კურთხევის შემდეგ, არამედ ის ჩემი სამღვდელო მოღვაწეობის პროგრამად იქცა უკვე. მღვდელი მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეს უნდა იმოწმებდეს ამქვეყნად და არა საკუთარ სიბრძნეს, საკუთარ ინტერესებს და საკუთარ ფილოსოფიას. ამდენად მღვდელმა უნდა მოიკლოს საკუთარი „ეგო“, ანუ „მე“ და ცენტრალური ადგილი დაუთმოს მასში იესო ქრისტეს მოძღვრების აღორძინებასა და გავრცელებას.“

**ძვირფასო მკითხველო!**

განსაკუთრებულია მღვდელმონაზონ ეფრემის დამოკიდებულება ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის მღვდელმთავარ დოსითეოსისადმი (ბოგვერაძე). როგორც მამა ეფრემი აღნიშნავს: - „მეუფე დოსითეოსი იყო ჩემი დეკანი და ლექტორი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას. ის არის განსაკუთრებული ადამიანი, ძალიან უბრალო, დაკვირვებული და ადამიანების სამსახურში დღედაღამ დაუღალავი როგორც მოძღვარი და მზრუნველი თავისი ეკლესიის შვილებისათვის. მას ხარაგაულში იცნობენ, როგორც იშვიათ სასულიერო პირს, ვისაც მაღალი იერარქიული საფეხურების მიღწევის მიუხედავად, მოუხერხდა ერთი მნიშვნელოვანი რამ: ის დარჩა ადამიანი და არ ცდუნდა ამქვეყნიური პრივილეგიებით. უფალმა კი ჩემი ბერად აღკვეცა, დიაკვნად და მღვდლად კურთხევა სწორედ ასეთი ადამიანის ხელით და ნებით ისურვა.“



*ფოტოზე: მეუფე დოსითეოსი და მღვდელმონაზონი ეფრემი*

რამდენიმე ხნის წინ, როცა ბერდიაკონი ეფრემი (ლომიძე) საქართველოს ისტორიაში პირველი ჰაბილიტირებული თეოლოგი გახდა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა სოციალურ ქსელში ასეთი ინფორმაცია განათავსა.

„საამაყოა, რომ საქართველოს ისტორიაში ეს პირველი მოვლენა გახლავთ, რადგან ღვთისმეტყველების დარგში დღემდე ჰაბილიტირებული თეოლოგი არ გვყავდა.

მამა ეფრემმა (ლომიძე) ჰაბილიტაცია ვენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრაზე დაიცვა, რომელიც ბოლო სამეცნიერო ნაშრომი გახლავთ.

ჰაბილიტაციის თემა მოიცავს 604 გვერდს გერმანულ ენაზე, სათაურით: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის ისტორიულ-საღვთისმეტყველო რეკონსტრუქცია. საკითხი ანტიოქიურ-პეტრესეული მემკვიდრეობის ტრადიციის შესახებ მეთორმეტე საუკუნემდე არსებული წყაროების მიხედვით“.

ნაშრომი უახლოეს მომავალში წიგნის სახით დაიბეჭდება. იგეგმება ასევე მისი ქართულად და ინგლისურად თარგმნა.

ბერდიაკონი ამჟამად ქალაქ ვენის წმინდა ეფრემ ასურის სახელობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს ხელმძღვანელობს. არის ასევე ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი. ავტორია რამდენიმე სამეცნიერო თეოლოგიური მონოგრაფიის, პუბლიკაციის, სტატიისა და სამეცნიერო მოხსენებებისა.

ვულოცავ ჩვენს საამაყო თანამემამულეს საქართველოს ისტორიაში პირველი ჰაბილიტირებული თეოლოგის წოდებას და შემდგომში კვლავ წარმატებებს ვუსურვებ არჩეულ გზაზე.“

**გიგა გლუნჩაძე** - მღვდელმონაზონ ეფრემის ბავშვობის მეგობარი:

მამა ეფრემთან ბავშვობიდან ვმეგობრობ. თავიდანვე გამოირჩეოდა სასულიერო ცხოვრების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ამ ყველაფერს ის ასახავდა არა მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით, რასაც ყველა ვხედავდით მის მშობლიურ რაიონში. მას განსაკუთრებული წარმოდგენა ჰქონდა ყველაფერზე, რაც სასულიერო ცხოვრების ამ მიმართულებას ეხებოდა, ვგულისხმობ ბერმონაზვნობას.

გამიხარდა, რომ რისკენაც ისწრაფვოდა - ყველაფერი შედგა. საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში ის გახლავთ თეოლოგიის დარგში აღიარებული პროფესორი საქართველოში ასეთი რამდენიმეა. ვფიქრობ, საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიისთვის ძალიან დიდი შენაძენი იქნება, როგორც არა მხოლოდ მღვდელმონაზონი მამა ეფრემი (ლომიძე), არამედ კადრი, რომელსაც შეუძლია, ბევრი თვალმარგალიტი შეჰმატოს სასულიერო ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში.“

* * *

წლების წინ, როცა აწ უკვე მღვდელმონაზონი ეფრემი (ერისკაცობაში გივი ლომიძე) გერმანიის აიხშტეტ - ინგოლშტატში თეოლოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტი გახდა, გაზეთმა „ახალმა ხარაგაულმა“ გულმხურვალედ მიულოცა მის აღმზრდელ მშობლებს - ქალბატონ მანანა ტოროშელიძესა და აწ განსვენებულ გონერი ლომიძეს. საკუთრივ კი ჩემი დიდი იმედი და სიყვარული გივის მიმართ, გამოვხატე საგაზეთო სტატიით „ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი!“

დიახ, აღსრულდა დიდი ოცნება, აღსრულდა გივი ლომიძის დიდი სურვილი და ჩემს დღევანდელ სტატიას კვლავ უკვდავი ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონებით დავასრულებ:

**„ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,**
**ვინძლო იპოვო შენი საშველი!“**

**ჩემო ძვირფასებო!**

მღვდელმონაზონმა ეფრემმა (ლომიძე) უკვე იპოვა „მხვედრი, თავის საშველი,“ „სცნა წუთისოფლის საიდუმლობა,“ „ხვდა ამ სოფლად თავისი წილობა“ (ხმა იდუმალი).

და სრული უფლება აქვს გაიმეოროს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სიტყვები „მისი ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.“

**P.S. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლები დიდი სიხარულითა და პატივისცემით ულოცავენ კოლეგას, ქალბატონ მანანა ტოროშელიძეს ღირსეულ დედობას, რომელმაც უფლის გზით მავალი ორი შვილი დეკანოზი დავითი და მღვდელმონაზონი ეფრემი (დავით და გივი ლომიძეები) აღზარდა.**

მერი გიორგიძე

# საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში განაახლეს

საქართველოს მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლებმა, პროფესიულმა სასწავლებლებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 15 სექტემბერს სწავლა დისტანციურ რეჟიმში დაიწყეს. იმ ქალაქში ან სოფელში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი 4 ოქტომბერს 4%-ზე ქვემოთ იქნება, სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდება.

როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე განმარტავს, ხარაგაულის საჯარო სკოლები სწავლის განსაახლებლად სრულ მზადყოფნაში არიან. მისივე ინფორმაციით, 2021 – 2022 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის სკოლებში 219 პირველკლასელი შევიდა, რაც წინა წლებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

,,ბოლო წლებია, რთულ რეჟიმში გვიწევს მუშაობა. გასული სასწავლო წელი ნახევრად დისტანციურად მიმდინარეობდა, რაც უდიდესი პრობლემა იყო მაღალმთიანი სოფლებისთვის, სადაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა ნაკლებია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტ-



როს მხარდაჭერით, პედაგოგები ყველანაირად ცდილობდნენ, მოსწავლეები უყურადღებოდ არ დარჩენილიყვნენ და მაქსიმუმს აკეთებდნენ მათთვის, ხშირად პირადად მიდიოდნენ ოჯახებში და ინდივიდუალურ რეჟიმში ატარებდნენ მეცადინეობებს. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი სასწავლო წელი გაცილებით კარგი იქნება, დასტაბილურდება ვირუსის გავრცელების ტემპი და მალე შევძლებთ ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნებას. ამისთვის კი მაქსიმალურად უნდა ჩავერთოთ ვაქცინაციის პროცესში.“-განმარტავს მარინე ვეფხვაძე.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზეც გვესაუბრება.

,,გასულ წელს თითქმის ყველა სკოლაში მოწესრიგდა სველი წერტილები და განხორციელდა ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მიმდინარე წელს დასრულდა კიცხის საჯარო სკოლის მშენებლობა და სრულიად ახალ შენობაში განახლდება სასწავლო პროცესი. შენობა აღიჭურვა ახალი ინვენტარით და განხორციელდა ეზოს სრული რეაბილიტაცია, მოეწყო ასევე სპორტული მოედანი. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა მარელისისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლებს. სველი წერტილი მოეწყო მოლითის საჯარო სკოლაში. ველოდებით წყალაფორეთის სკოლის ახალი შენობის ასაგებად საპროექტო სამუშაოების მომზადებას. დაგეგმილია მე-3 საჯარო სკოლის შენობის სახურავის შეცვლა. ხარაგაულის საჯარო სკოლებში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მერია და საკრებულო, რისთვისაც მათ მადლობა მინდა, გადავუხადო.

მნიშვნელოვანია, რომ, ტრადიციისამებრ, საჯარო სკოლების მოსწავლეები უფასოდ მიიღებენ სასკოლო სახელმძღვანელოებს და ყველა პირველკლასელს გადაეცემა ნოუთბუქები.

მშვიდობიანი და წარმატებული სასწავლო წელი მინდა ვუსურვო ჩვენს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, დირექტორებს, რომლებმაც ძალიან დიდი როლი შეასრულეს სკოლებში უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად. ასევე მადლობა რესურსცენტრის ყველა თანამშრომელს, რომლებიც ყოველთვის გამოირჩევიან საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით.“-აღნიშნავს მარინე ვეფხვაძე.

თამარ მაღრაძე

# ხარაგაულში მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა აღდგა

ხარაგაულში მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობაზე დაწესებული შეზღუდვა მოიხსნა.

ს/ს ,,ავტოტრანსის“ დირექტორის, დავით ხარაძის, ინფორმაციით, მუნიციპალური ტრანსპორტი ჩვეული განრიგით იმოძრავებს შემდეგი მიმართულებებით:

ნადაბური - ხარაგაული; უბისა - სარგვეში-ხარაგაული;

ხარაგაული-თეთრაწყარო; ხარაგაული-ლეღვანი და ხარაგაული-ფარცხნალი.

მიკროავტობუსებით მგზავრობისას რეგულაციების დაცვა კვლავ აუცილებელი მოთხოვნაა. კერძოდ, ნიღბის ტარება და პირადი ჰიგიენის დაცვა.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა, რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, 14 აგვისტოდან იყო შეჩერებული.

აქვე გეტყვით, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით და მგზავრობის შეღავათიანი ტარიფების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ხარაგაულის მერიას 15 სამარშრუტო სვლაგეზზე აქვს განხორციელებული შესყიდვა.

მარიამ შარიქაძე

# ღორეშა-მარიამწყაროს დამაკავშირებელ გზაზე სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ღორეშა-მარიამწყაროს დამაკავშირებელი გზის მობეტონების სამუშაოები დაიწყო.

დაგეგმილია გზის 1083-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 236 998 ლარით ფინანსდება.

პროექტი გარდამავალია და მისი პირველი ნაწილი ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.

სამუშაოებს შპს „ალპედე“ ასრულებს.



# ხარაგაულიდან 100%-იანი დაფინანსება ორმა აბიტურიენტმა მოიპოვა


საბა ებანოიძე

მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2020-2021 სასწავლო წელი 138-მა მოსწავლემ დაასრულა. აქედან 79 საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, მათ შორის, გრანტის მფლობელი 14 აბიტურიენტი გახდა. 100 %-იანი დაფინანსებით უმაღლეს სასწავლებელში ხარაგაულიდან ორი პირველკურსელი ისწავლის, 70 %-იანი დაფინანსებით - ოთხი, ხოლო 50%-იანი დაფინანსება რვამ მოიპოვა.

100 %-იანი გრანტი აიღო საბა ებანოიძემ (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია) და გოჩა ლომიძემ (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა).

საბა აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ისწავლის, გოჩა - კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე.

„ეროვნული გამოცდებისათვის მზადება ახალი სასწავლო წლიდანვე დავიწყე. აბიტურიენტობის ერთი წელი საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის- ამბობს საბა ებანოიძე -ამ დროს მთავარი გამოწვევა დროის გადანაწილება და გეგმების სწორად დასახვა იყო. მიმაჩნია, რომ მიზანს მივაღწიე, რადგან 100%-იანი დაფინანსებით სასურველ ფაკულტეტზე მოვხვდი. ვფიქრობ, რომ აბიტურიენტისათვის ყველაზე ამაღელვებელი ეროვნული გამოცდების ნედლი ქულების გაგებაა. პირველად შედეგებზე დაყრდნობით, გამოვითვალე ჩემი საგრანტო და საკონკურსო ქულები, რამაც მომცა შესაძლებლობა, წინასწარ მცოდნოდა ის, თუ სად მოვხვდებოდი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩემთვის გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა. ვთვლი, რომ სკოლაში სწავლის წლები პროდუქტიული იყო და სასურველ მიზანს მივაღწიე. მინდა, წარმატებები ვუსურვო ყველა მომავალ სტუდენტს.“

შეგახსენებთ, რომ საბა 2020-2021 სასწავლო წლის „ეტალონი მოსწავლეა.“

გოჩა ლომიძე ძალიან ბედნიერია, რომ შრომა დაუფასდა და მისთვის სასურველ ფაკულტეტზე ისწავლის.

„პირველ რიგში, ყველაზე კარგია, როდესაც შრომა გიფასდება. დაძაბულობით აღსავსე წლის შემდგომ, სასურველი შედეგის მიღწევა ემოციებით გავსებს და ახალი წარმატებებისთვის გმუხტავს. მართალია, ისტორიაში დამოუკიდებლად ვმეცადინეობდი, მაგრამ ქართულსა და ინგლისურში ჩემი შედეგების მოპოვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩემს რეპეტიტორებს და მადლობა მათ ასეთი სწორი მიმართულებისთვის. ბოლოს, მინდა, აბიტურიენტებს ვურჩიო სიმშვიდე და მონდომება. შეუძლებელი არაფერია,“-აღნიშნავს გოჩა ლომიძე.

70%-იანი გრანტის მფლობელები არიან:

ანი მეიფარიანი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი (N3 საჯარო სკოლა);

თეო გოლუბიანი -კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი (გიმნაზია);

ნინო მიქაბერიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (გიმნაზია);

ანი ბლიაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა);

50%-იანი გრანტის მფლობელები გახდნენ:

ანა მაისურაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (N3 საჯარო სკოლა);

ანა კვინიკაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (N3 საჯარო სკოლა);

ვაჟა მაღრაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (N3 საჯარო სკოლა);

მარიამ მანჯავიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (გიმნაზია);


გოჩა ლომიძე

გიგა ხიჯაკაძე – ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიური ფაკულტეტი (N2 საჯარო სკოლა);

ბერიკა მაჩაიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი (ბორითის საჯარო სკოლა);

სალომე კვირიკაშვილი – აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (ლაშის საჯარო სკოლა);

გვანცა ქოჩიაშვილი – კავკასიის უნივერსიტეტი, კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ლაშის საჯარო სკოლა).

თამარ მაღრაძე

## დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია დაიწყო.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,TU-KA “ ასრულებს და პროექტის განხორციელებისათვის 201 850 ლარი დაიხარჯება.

დაგეგმილია ბინების სახურავის შეცვლა, გარდა ამისა, საერთო სარგებლობის კიბეების რეაბილიტაცია.

სამუშაოები ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.

## ძირულა- ხარაგაულის გზის სამ ლოკაციაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება



ძირულა - ხარაგაულის გზის სამ ლოკაციაზე, სადაც შეჩერებული იყო სამუშაოები, უახლოეს დღეებში განახლდება.

ეს მონაკვეთებია: ცენტრალური მაგისტრალიდან ძირულის ხიდამდე, ძირულის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია და ძირულიდან სოფელ ლაშის ეკლესიამდე არსებული გზა. სამუშაოებს კომპანია „Black sea group-ი“ განახორციელებს.

ინფორმაციისათვის: ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა- ჩუმათელეთის პროექტის ფარგლებში, გზის გასწორხაზოვნება მოხდა ჩუმათელეთი - წიფის მონაკვეთზე, ამჯერად ანალოგიური სამუშაოები ჩაუტარდება წიფა - მოლითის დამაკავშირებელ გზას.

ამ ეტაპზე გზის მოასფალტება ძირულა-ხარაგაული-ბაბის მონაკვეთზე თითქმის დასრულებულია და სამუშაოები იწყება მოლითი-ფონას მიმართულებით. პროექტზე დაახლოებით 100 მილიონი იხარჯება, რაც, ეკონომიკური თვალსაზრისით, ხარაგაულს ნამდვილად გააძლიერებს და მოსახლეობას დამატებით შემოსავლებს გაუჩენს.

საერთო ჯამში, 50 - კილომეტრიან მონაკვეთზე იგეგმება 6 - მეტრიანი (1,5- მეტრიანი გვერდულებით ორივე მხარეს) გზის მოასფალტება.

თამარ მაღრაძე

## მოქალაქეებს პირადობის მოწმობის აღება პირველ ოქტომბრამდე უფასოდ შეეძლებათ

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, საარჩევნო პროცესში შეუფერხებლად მონაწილეობისთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ერთი თვის განმავლობაში უფასოდ გაიცემა.




აქცია პირველ სექტემბერს დაიწყო და პირველ ოქტომბრამდე გაგრძელდება.

აქციით ისარგებლებენ მოქალაქეები, რომელთა 2021 წლის პირველ ოქტომბრამდე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს (მათ შორის, სამსახურებრივ პასპორტს) მოქმედების ვადა ამოეწურება და მათს სახელზე არ დაფიქსირდება იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი (მათ შორის, სამსახურებრივი პასპორტი); საქართველოს ის სრულწლოვანი მოქალაქეები, რომელთა სახელზეც ამ დრომდე არ იყო გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი; მოქალაქეები, რომელთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოსურათები გამოუსადეგარია (უხარისხოა), ან არ ინახება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. აქციით სარგებლობის მსურველებმა იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

მარიამ შარიძაძე

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. რეგიონული განვითარების ფონდიდან მიმდინარე წელს 6 მილიონ ლარამდე გამოიყო, რომლითაც გზის 31 და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის ერთი პროექტი განხორციელდება. ხარაგაულის მერიის შესაბამისი სამსახურები პირადად უწევენ მონიტორინგს პროექტების განხორციელებას, რათა დროულად და ხარისხიანად შესრულდეს სამუშაოები.

ამ ეტაპისთვის დასრულებულია: ვარძიაში, მოლითში, ჩხერში, ვანი - ღუდუმექეთის დამაკავშირებელი, ქვებში (მეორე ეტაპი), წყალაფორეთში (ბალისა და გაბეხაძეების საუბნო), ვერტყვიჭალაში (გოგიაშვილებისა და ეკლესიის უბნები), ახალსოფელში (მეორე ეტაპი), ღარიხევში (ხელიურის უბანი), ბორითში (გოჭოურის უბანი), ბაზალეთში (ნანიტაშვილების საუბნო



გზა, მეორე ეტაპი), ბორითში (გორგაძეებისა და ფაბრიკის საუბნო), მაქათუბანში (ორი უბნის), სარგვეშში (ხვიჩა მუმლაძის უბანი), კიცხსა (სამი უბნის) და ფარცხნალში (ბარის უბნის) (მეორე ეტაპი) გზების რეაბილიტაცია.

აქტიურ ფაზაშია ერეთა-დინარის დამაკავშირებელი, ბაზალეთის (ჭიპაშვილების უბანი), საქარიქედი (მუხების უბანი)-ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი, მარელისის (ცისკაძეების უბნის - მეორე ეტაპი), ვანი -სხლითის დამაკავშირებელი, სარგვეშის (ცისკაძეების უბანი), თეთრაწყაროს (საუბნო), ლელვნის (ქვიანთის უბანი), ღორეშა-მარიამწყაროს, ხევის (საუბნო), უბისის (საუბნო), ლახუნდარისა და ვარძიის (საუბნო) გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხორციელდება ასევე დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების აივნების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც შპს „TU-KA“ ასრულებს.

თამარ მაღრაძე

## სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა ხარაგაულში აქტიურად მიმდინარეობს

მიმდინარე წელს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 1 200 000 ლარი დაიხარჯება. აღნიშნული თანხა ძირითადად ხიდებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციას მოხმარდება.



ამ ეტაპზე დაბაში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაზიანებული გზის საყრდენი კედლის აღდგენა მიმდინარეობს. აქტიურ ფაზაშია ლელვანში, კიბაბოურის უბანში, ხიდის მშენებლობა, ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულების ეტაპზეა ხიდებისა და ხიდ-ბოგირების აღდგენა. სტიქიის ფონდიდან დაფინანსდა ასევე ნებოძირში, ვახანსა და სერბაისში ხიდ-ბოგირების მშენებლობა, მარელისში მდინარე ქუნცურის არხის გაწმენდა.

აქვე გეტყვით, რომ უკვე დასრულებულია ლელვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის გამაგრებისათვის საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა და მაქათუბანში სანიაღვრე არხის მშენებლობა.

თამარ მაღრაძე

## ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხარაგაულის რამდენიმე სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ, რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერები გამოაცხადა. ოთხ ობიექტზე უკვე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება. კერძოდ: ვახანი,ზვარე, მოლითისა და წიფის ა/ერთეულებში სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია 40 277 ლარად შეასრულებს; ბაზალეთის, ლაშის, სარგვეშის, ფარცხნალისა და ღორეშის ა/ერთეულებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 38 195 ლარი დაიხარჯება, ლელვნისა და საღანძილის ა/ერთეულში -32 645 ლარი; რაც შეეხება ვარძიის, კიცხის, წყალაფორეთისა და ხიდრის ა/ერთეულებს, მათზე 32 728 ლარია გათვალისწინებული.

ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია ხევის ა/ერთეულში სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე, რომელსაც შპს „TU-KA“ 12 806 ლარად შეასრულებს.

შეგახსენებთ, აღნიშნული პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება. საერთო ჯამში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, 10 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22-32-25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12